



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის
სამეცნიერო რეფერირებადი შრომათა კრებული

SCIENTIFIC REVIEWED PROCEEDINGS
OF THE INSTITUTE OF HYDROMETEOROLOGY
OF THE GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

НАУЧНЫЙ РЕФЕРИРУЕМЫЙ СБОРНИК ТРУДОВ
ИНСТИТУТА ГИДРОМЕТЕОРОЛОГИИ
ГРУЗИНСКОГО ТЕХНИЧЕСКОГО УНИВЕРСИТЕТА

№ 131



ჰიდრომეტეოროლოგიისა და ეკოლოგიის პრობლემები
PRESSING PROBLEMS IN HYDROMETEOROLOGY AND ECOLOGY
ПРОБЛЕМЫ ГИДРОМЕТЕОРОЛОГИИ И ЭКОЛОГИИ

თბილისი _TBILISI _ ТБИЛИСИ

2021

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის
სამეცნიერო რეფერირებადი შრომათა კრებული
ტომი № 131

ჰიდრომეტეოროლოგიისა და ეკოლოგიის აქტუალური
პრობლემები

SCIENTIFIC REVIEWED PROCEEDINGS
OF THE INSTITUTE OF HYDROMETEOROLOGY
OF THE GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY
VOL.№131

PRESSING PROBLEMS IN HYDROMETEOROLOGY AND ECOLOGY

НАУЧНЫЙ РЕФЕРИРУЕМЫЙ СБОРНИК ТРУДОВ
ИНСТИТУТА ГИДРОМЕТЕОРОЛОГИИ
ГРУЗИНСКОГО ТЕХНИЧЕСКОГО УНИВЕРСИТЕТА
ТОМ №131

АКТУАЛЬНЫЕ ПРОБЛЕМЫ ГИДРОМЕТЕОРОЛОГИИ И ЭКОЛОГИИ

©	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი INSTITUTE OF HYDROMETEOROLOGY OF THE GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY ИНСТИТУТ ГИДРОМЕТЕОРОЛОГИИ ГРУЗИНСКОГО ТЕХНИЧЕСКОГО УНИВЕРСИТЕТА	2021
---	---	------

თბილისი _ TBILISI _ ТБИЛИСИ

2 0 2 1

გამოიცემა 1953 წლიდან
Published since 1953
Издаётся с 1953 года

FOUNDERS:
Georgian Technical University
Institute of Hydrometeorology
Georgian National Academy of Sciences
Georgian Academy of Agricultural Sciences

სარედაქციო კოლეგია

თ.ცინცაძე (მთ. რედაქტორი)
მთ. რედაქტორის მოადგილეები
გ.მელაძე
ს.გორგიჯანიძე
ე.ელიზბარაშვილი
ლ.ინჭვირველი
მ.ტატიშვილი

მდივნები

ნ.კაპანაძე
ნ.არუთინიანი

წევრები

გ.ალექსიძე
აბდ-ალლა გად (საუდის არაბეთი)
ც.ბასილაშვილი
ნ.ბეგლარაშვილი
ნ.ბუაჩიძე
გ.გრიგოლია
გ.გუნია
ხ.ეგამბერდიევი (უზბეკეთი)
ბ.ხოლმატჯანოვი (უზბეკეთი)
ნ.დვალიშვილი
კ.ლაშაური (კანადა)
შუნლინ ლიან (აშშ)
რ.მაჰმუდოვი (აზერბაიჯანი)
მ.მელაძე
ა.პარანინა (რუსეთი)
მ.სალუკვაძე
რ.სამუკაშვილი
ა.სურმავა
მ.ფიფია
სადხან კუმარ გოშ (ინდოეთი)
ლ.შავლიაშვილი
ლ.შენგელია
ზ.ხვედელიძე

სარედაქციო საბჭო

გ.მელაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე)
ნ.ბეგლარაშვილი
გ.გრიგოლია
მ.სალუკვაძე
ზ.ხვედელიძე

სარედაქციო კოლეგიის მისამართი: საქართველო, 0112, თბილისი, დ.აგმაშენებლის გამზ. 150-გ.
ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი. e-mail: ecohydmet@yahoo.com; ecohydmet@gtu.ge
Address of Editorial Board: Institute of Hydrometeorology, 150-g, Davit Agmashenebeli Ave., 0112 Tbilisi, Georgia
e-mail: ecohydmet@yahoo.com; ecohydmet@gtu.ge

Адрес редколлегии: Грузия, 0112, Тбилиси, пр. Д.Агмашенебели 150-г, Институт гидрометеорологии.
e-mail: ecohydmet@yahoo.com; ecohydmet@gtu.ge

ელექტრონული ვერსია
Electronic version
Электронная версия

დამფუძნებლები:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

УЧРЕДИТЕЛИ:

Грузинский технический университет
Институт гидрометеорологии
Национальная академия наук Грузии
Сельскохозяйственная академия наук Грузии

РЕДКОЛЛЕГИЯ

Т.Н.Цинцадзе (Главный редактор)
ЗАМ. ГЛАВНОГО РЕДАКТОРА

Г.Г.Меладзе
С.Н.Горгиджанидзе
Э.Ш.Элизбарашвили
Л.Н.Инцкирвели
М.Р.Татишвили

СЕКРЕТАРИ

Н.И.Капанაძე
Н.Э.Арутюнян

ЧЛЕНЫ

Г.Н.Алексидзе
Абд-Алла Гад (Саудовская Аравия)
Ц.З.Басиლაშვილი
Н.Г.Бегларაშვილი
Н.С.Буачиძე
Г.Л.Гриგოლია
Г.С.Гუნია
Х.Т.Эгамбердиев (Узбекистан)
Б.М.Холматжанов (Узбекистан)
Н.Л.Двалишвили
К.Лашаური (Канада)
Шунлин Лиан (США)
Р.Н.Махмудов (Азербайджан)
М.Г.Меладзе
А.Н.Паранина (Россия)
М.П.Салукваძე
Р.Д.Самукашвили
А.А.Сурмава
М.Г.Пипия
Садхан Кумар Гош (Индия)
Л.У.Шавлиаშვილი
Л.Д.Шенгелиა
З.В.Хведелиძე

РЕДАКЦИОННЫЙ СОВЕТ

Г.Г.Меладзе (Зам. гл. редактора)
Н.Г.Бегларაშვილი
Г.Л.Гриგოლია
М.П.Салукваძე
З.В.Хведелиძე

EDITORIAL BOARD

T.Tsintsadze (Editor-in-Chief)
DEPUTY EDITORS-IN-CHIEF

G.Meladze
S.Gorgijanidze
E.Elizbarashvili
L.Intskirveli
M.Tatishvili

SECRETARIES

N.Kapanadze
N.Arutiniani

MEMBERS

G.Aleksidze
Abd-Alla Gad (Saudi Arabia)
Ts.Basilashvili
N.Beglarashvili
N. Buachidze
G.Grigolia
G.Gunia
Kh.Egamberdiev (Uzbekistan)
B.Kholmatjanov (Uzbekistan)
N.Dvalishvili
K.Lashauri (Canada)
Shunlin Liang (USA)
R.Mahmudov (Azerbaijan)
M.Meladze
A.Paranina (Russia)
M.Salukvadze
R.Samukashvili
A.Surmava
M.Pipia
Sadhan Kumar Ghosh (India)
L.Shavliashvili
L.Shengelia
Z.Khvedelidze

EDITORIAL COUNCIL

G.Meladze (Deputy Editor-in-Chief)
N.Beglarashvili
G.Grigolia
M.Salukvadze
Z.Khvedelidze

წინამდებარე კრებულში შესულია ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის 68-ე მისის სამეცნიერო სესიაზე მოხსენილი მოხსენებები, მიძღვნილი ჰიდრომეტეოროლოგიისა და ეკოლოგიის აქტუალური პრობლემებისადმი. შესაბამისი სტატიები მოცემულია შემდეგ სამეცნიერო მიმართულებათა მიხედვით: მეტეოროლოგია, კლიმატოლოგია, აგრომეტეოროლოგია, ჰიდროლოგია, კლიმატის ცვლილება, ბუნებრივი გარემოს დაბინძურება. კრებული განკუთვნილია გეოფიზიკურ, გეოგრაფიულ და ეკოლოგიურ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგში მომუშავე მეცნიერებისა და სპეციალისტებისათვის, მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის.

In this issue texts of papers presented at the 68-th May scientific session of the Institute of Hydrometeorology are offered, dedicated to the pressing problems of Hydrometeorology and Ecology. Relevant papers are given according to the following scientific directions: Meteorology, Climatology, Agrometeorology, Hydrology, Climate Change, Environmental Pollution.

The volume is intended for experts working in different branches of geophysical, geographical and ecological sciences, magistrates and doctorates.

В настоящий сборник включены тексты докладов, заслушанных на 68-ой майской научной сессии Института Гидрометеорологии, посвященной актуальным проблемам гидрометеорологии и экологии. Соответствующие статьи даны по следующим научным направлениям: метеорология, климатология, агрометеорология, гидрология, изменение климата, загрязнение природной среды.

Сборник предназначен для ученых и специалистов, работающих в различных областях геофизических, географических и экологических наук, магистрантов и докторантов.

ს ა რ ზ ე ვ ი CONTENTS СОДЕРЖАНИЕ

1	ს.გორგიჯანიძე. მდინარის ჩახერგვებით გამოწვეული დაგუბებები და მათ გარღვევებთან დაკავშირებული ნაზღველვი წყალმოვარდნები ზემო სვანეთის რეგიონში.....	7
	S.Gorgijanidze. Swamps caused by the river trappings and collapsed flash-flooding associated to their breakthrough in the Upper Svaneti region.....	
	Горгиджанидзе С. Н. Завальные паводки, вызванные заграждением и затором на реках Верхней Сванетии.....	
2	ც.ბასილაშვილის. მდინარეთა წყლის დეფიციტი - თანამედროვეობის უდიდესი პრობლემა.....	12
	Ts. Basilashvili. Freshwater Shortage is a Major Problem of Modern Times.....	
3	ო. შველიძე. აორთქლებადობა და მორწყვის რეჟიმი.....	17
	O.Shvelidze. Potetial evaporation and irrigation regime.....	
	Швелидзе О.Г. Испаряемость и режим орошения.....	
4	მ. ალუკვაძე, ნ.კობახიძე. საქართველოს ტერიტორიის ზვავსაშიშროების შეფასება ზვავების ჩამოსვლის სიხშირის მიხედვით.....	20
	M.Salukvadze, N.Kobakhidze. Avalanche hazard assessment of the territory of Georgia by the frequency of avalanches.....	
5	ლ. შენგელია, გ. კორძახია, გ. თვაური, მ. ძაძამია. მცინვარების დეგრადაციის დინამიკა პირიქითი ალაზნის მცინვარულ აუზში.....	24
	L.Shengelia, G.Kordzakhia, G.Tvauri, M.Dzadzamia. Degradation dynamics of the Pirikiti Alazani river basin glaciers on the background of current climate change.....	
	Шенгелия Л.Д., Кордзахия Г.И., Тваური Г.А., Дзадзамия М. Ш. Динамика деградации ледников бассейна реки Пирикити Алазани на фоне современного изменения климата.....	
6	რ.სამუკაშვილი, ც.დიასამიძე. ნისლი მცხეთა-მთიანეთის რეგიონში.....	32
	R.Samukashvili, Ts. Diasamidze. A fog of the teritory Mtskheta-Mtianeti.....	
7	გ.მელაძე, მ.მელაძე. სასოფლო-სამეურნეო კულტურების გავრცელება საქართველოს აღმოსავლეთ მშრალ სუბტროპიკებში.....	36
	G.Meladze, M.Meladze. Distribution of agricultural crops in the dry subtropics of Eastern Georgia.....	
	Меладзе Г.Г. Меладзе М.Г.Распространение сельскохозяйственных культур в сухих субтропиках Восточной Грузии.....	
8	მ.ფიფია ნ.ბეგლარაშვილი გ.ჯინჩარაძე. სეტყვიანობა და მისგან მუყენებული ზიანი საქართველოს ტერიტორიაზე 2014-2018 წლებში.....	40
	M.Pipia, N.Beglarashvili, G. Jincharadze . Hail and damage caused by it on the territory of Georgia in 2014-2018.....	
9	პიპია მ. გ., ბეგლარაშვილი ნ.გ., ჯინჩარაძე გ.ა. Град и ущерб, нанесенный им на территории Грузии в 2014-2018 гг.....	44
	ნ. გიგაური, ვ. კუხალაშვილი, ა. სურმავა, ლ. ინცირველი, მ. ფიფია. ქ.თბილისის ატმოსფეროში PM2.5 და PM10 -ის კონცენტრაციების სივრცული განაწილება რეგულარული დაკვირვებისა და მარშრუტული გაზომვების მონაცემების მიხედვით.....	
	Gigauri N., Kukhalashvili V., Surmava A., Intskirveli L., Pipia M. Spatial distribution of PM ₁₀ and PM _{2.5} concentrations in the atmosphere of Tbilisi according to regular observations and experimental measurements.....	
10	გ.გუნია. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეკოლოგიური პრობლემები.....	51
	G.Gunia. Modern ecological problems of sustainable economic development of the country.	
10	გუნია გ.С. Современные экологические проблемы устойчивого экономического развития страны.....	51
	

11	მ.ტატიშვილი, ზ.ხვედელიძე, ი.სამხარაძე, ა.ფალავანდიშვილი. ატმოსფეროს ცირკულაციური ანომალიების გავლენა ამინდზე და კლიმატზე საქართველოში.....	56
	M.Tatishvili, Z.Khvedelidze, I.Samkharadze, A.Palavandishvili. Influence of atmospheric circulation anomalies on weather and climate in Georgia.....	
	Татишвили М.Р., Хведелидзе З.В., Самхарадзе И.Н., Палавандишвили А.М..Влияние аномалий атмосферной циркуляции на погоду и климат Грузии.....	
12	დ.დემეტრაშვილი. მეზომასშტაბური ატმოსფერული პროცესების რიცხვითი მოდელის ენერგეტიკული ბალანსის განტოლებათა შესახებ.....	59
	D. Demetrashvili. On the energy balance equations of the numerical model of mesoscale atmospheric processes.....	
	Деметрашвили Д.И. Об уравнениях энергетического баланса численной модели мезомасштабных атмосферных процессов.....	
13	ნ.კაპანაძე, თ.ციცაძე. მდინარეთა აუზების ძირითადი რესურსები, ფუნქციები და ინტეგრირებული მართვის მექანიზმები.....	67
	N.Kapanadze, T.Tsintsadze. Major resources of river basins, functions and integrated management systems.....	
	Капанაძე Н.И., Цицадзе Т.Н. Основные ресурсы речных бассейнов, функции и механизмы интегрированного управления.....	
14	ნ.კაპანაძე, ი.მკურნალიძე. ღრუბლიანობა და კოსმოსური სხივებ.....	72
	N.Kapanadze, I.Mkurnalidze. Cloudiness and cosmic rays.....	
	Капанაძე Н.И., Мкурналидзе И.П. Облачность и космические лучи.....	
15	გ. გელაძე, ნ.ბეგალიშვილი. სმოგის რიცხვითი მოდელის შესახებ.....	77
	G. Geladze, N. Begalishvili. About numerical model of smog.....	
	Г. Н Геладзе, Н. Н Бегалишвили О численной модели смога.....	
ავტორთა საძიებელი.....		82
AUTHOR'S INDEX.....		
УКАЗАТЕЛЬ АВТОРОВ.....		

უკ. 551.578.46.

მდინარის ჩახერგვებით გამოწვეული დაგუბებები და მათ გარღვევებთან დაკავშირებული ნაზღვლევი წყალმოვარდნები ზემო სვანეთის რეგიონში

ს. გორგიჯანიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი
თბილისი, საქართველო, sophiogorgijanidze@gmail.com

საქართველო ბუნებრივი პირობების მიხედვით მრავალფეროვანია, რის გამოც აქ მუდამ ხდებოდა და ხდება სტიქიური მოვლენები. ამ სტიქიური მოვლენებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია მდინარის ხეობების ჩახერგვები, დაგუბებები და მათ გარღვევასთან დაკავშირებული წყალმოვარდნები. ამ პერიოდში ხდება მდინარის გადაკეცვა, რის შედეგადაც ზოგჯერ დაგუბებული ტბა განაგრძობს არსებობას, ზოგჯერ კი ირღვევა, რასაც თან მოსდევს კატასტროფული ნაზღვლევი წყალმოვარდნები. ასეთი პროცესები შეიძლება გამოიწვიოს მდინარემ, როცა იგი გადაიკეცება კლდეზვავით, მეწყერით, ღვარცოფული ნაკადით, ზვავებით, მდინარის დანაყინით ან სულაც მყინვარის პულსაციის მოქმედებით.

საქართველოსთვის ყველა ამგვარი პროცესით გამოწვეული კატასტროფული წყალმოვარდნაა დამახასიათებელი. ეს პროცესები კი ხშირია კავკასიონის ქედზე. მისი განშტოებებიდან გამოირჩევა როგორც დასავლეთი ასევე ცენტრალური კავკასიონის განშტოებები. განსაკუთრებით ეს მოვლენები გააქტიურდა სვანეთის კავკასიონზე.

თავად სვანეთი კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთაზე მდებარეობს და საქართველოს ყველაზე მაღალმთიანი კუთხეა. სვანეთი დასავლეთიდან ისაზღვრება კოდორის (სვანეთ-აფხაზეთის), სამხრეთიდან – სამეგრელოსა და ლეჩხუმის, ჩრდილოეთიდან – კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედებით. ადმინისტრაციულად მოიცავს მესტიის და ლენტეხის მუნიციპალიტეტებს. მისი სიგრძე, კოდორის ქედიდან ფასის მთამდე, 125 კმ-ია. სწორედ აქ არის თავმოყრილი კავკასიონის მთავარი ქედის უმაღლესი მწვერვალები: გისტოლა, თეთნულდი, ჯანდა, შოთა რუსთაველის პიკი, შხარა და სხვ. ამ მონაკვეთშივეა განლაგებული კავკასიონის სამხრეთ ფერდობის უდიდესი მყინვარები: ლეხზირი, წანერი, ტვიბერი და სხვ. სვანეთის კავკასიონის ტერიტორიაზეა 18 ცნობილი უღელტეხილი. ყოველივე აქედან გამომდინარე, სვანეთის ტერიტორია წარმოადგენს საკმაოდ საშიშ ზონას სტიქიური მოვლენების მოქმედებისათვის. აქ ფიქსირდება წყალდიდობები, მეწყერები, ქვათაცვენები და თოვლის ზვავების გააქტიურებები.

ამ ბოლო დროს გახშირებული სტიქიური მოვლენების შედეგად ამ ტერიტორიაზე დაინგრა 225 საცხოვრებელი სახლი, დაზიანდა მრავალი სასოფლო-სამეურნეო სავარგული, ხიდი და საავტომობილო გზა.

აღსანიშნავია, რომ ზემო სვანეთი გამოირჩევა წლის განმავლობაში სტიქიური მოვლენების სიხშირით. ზვავსაშიში ზონები მოცემულია სოფ. ლუხიდან დაწყებული ხაიში-ჭუბერის მონაკვეთამდე [1]. აღსანიშნავია, რომ ყველა ამ პროცესს ხელს უწყობს კლიმატური პირობები და ამასთანავე ანთროპოგენური ფაქტორები. ყოველი სტიქიური მოვლენის გავრცელების ზონა საშუალო და მაღალმთიანი რეგიონებია.

სტიქიური მოვლენები, წყალდიდობის სახით, დიდი მასშტაბით მოხდა 2003 წელს, რამაც დიდი ზიანი მიაყენა მესტიის მუნიციპალიტეტს, ხოლო 2011 წელს მთლიანად მოიცვა მულახი-ჯაბუშის ტერიტორია, მდ. მესტიაჭალის ხეობა, გადაკეცა გზები, დაანგრა მდინარეებზე არსებული ხიდები. საბედნიეროდ, მოსახლეობაში მსხვერპლი არ ყოფილა, თუმცა განადგურდა მრავალი სათიბ-სამოვარი ტერიტორია. 2019 წლის 25 ივლისს მდ. მესტიაჭალის აუზში განმეორდა სტიქიური მოვლენა, რომლის დროსაც ღვარცოფმა ორი ხიდი წაიღო, ხოლო მულახის თემში დააზიანა საკარმიდამო ტერიტორია. უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ დაზიანდა „მესტიაჭალა-1“ ჰესის ტერიტორია, სადაც მიმდინარეობდა სამშენებლო სამუშაოები. დაიტბორა იქ არსებული ტექნიკა და და რამდენიმე ავტომანქანა. საბედნიეროდ, ამ შემთხვევას მსხვერპლი არ მოჰყოლია (სურ 1 და 2).

ეს შემთხვევა გამოწვეული იყო უხვი ატმოსფერული ნალექების მოსვლით, რომლის დროსაც დაიწყო იქ არსებული მყინვარების ინტენსიური დნობა. შედეგად მდინარეში ჩამოვიდა ყინულოვან-მორენული მასალა, რის შედეგადაც მდ. მესტიაჭალა დაგუბდა. აღსანიშნავია რომ ტბის დაგუბება დიდხანს არ გაგრძელდებოდა, რამაც უფრო გააძლიერა ნაზღვლევი წყალმოვარდნა. შეგუბების ადგილას მოხდა წყლის დონის უცვარი მატება, რამაც კიდევ უფრო მეტად დააზიანა მიმდებარე ტერიტორია. წყალმოვარდნის ტალღის დონემ 70-100 სმ-ით მოიმატა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაგუბებული ტბის გარღვევას ორჯერ ჰქონდა ადგილი.



სურ.1. 2019 წლის 25 ივლისს მდ. მესტიაჭალის აუზში მომხდარი ნაზღვლევი წყალმოვარდნა.



სურ.2. 2019 წლის 25 ივლისს მდ. მესტიაჭალის აუზში მომხდარი ნაზღვლევი წყალმოვარდნა.

2018 წლის 5 ივლისს, მდ. ნენსკრას აუზში მოსული უხვი ნალექების შედეგად, მოხდა თოვლ-ზვავის გამოზიდვის კონუსისა და მყინვარების დნობა, რის შედეგადაც მოხდა მდ. ნენსკრაზე ქვა-ტალახიანი ღვაცოფული ნაკადების წარმოშობა.

მდ. ნენსკრაზე წყლის მაქსიმალური ხარჯი დაანგარიშებული იქნა გავლილი კვალის მიხედვით. სოფ. ქვემო მარდთან წყლის ხარჯმა 220 მ³/წმ შეადგინა, რაც ექსტრემალური მაჩვენებელია ამ მდინარისათვის.

მდ. ნენსკრას ადიდების შედეგად ჭუბერის თემის სოფლებში დაინგრა და დაზიანდა საცხოვრებელი სახლები, დამხმარე ნაგებობები და ინფრასტრუქტურული ობიექტები (მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები, საავტომობილო გზები, ხიდები და სხვ.). სტიქიამ სრულად მოწყვიტა გარე სამყაროს სოფელი ტიტა (სურ. 3 და 4.).



სურ. 3. მდ. ნენსკრას შედეგები, 2018 წლის 5 ივლისი.



სურ. 4. მდ. ნენსკრას შედეგები, 2018 წლის 5 ივლისი.

მნიშვნელოვანია ასევე გარემოსა ეროვნული სააგენტოს მიერ დათვალიერებული ბუნებრივი ტბა „შავდელეს“ მონაკვეთზე, მესტიის გზის მიმდებარე ტერიტორიები ზემო სვანეთში, სადაც ნათლად ჩანს მეწყრული უბანი, რომელიც საშიშია. მას 40-45მ-იანი ქანობი აქვს. დათვალიერების დროს ამ მონაკვეთიდან გამოედინებოდა 0.5 ლიტრი დებეტის მქონე წყალი, რაც 1 საათში შეადგენს 1800 ლ წყალს. რადგანაც ჩაგუბებიდან საავტომობილო გზის მიმართულებით ხდება ამავე მოცულობის წყლის გადინება, ჩაგუბებაში წყლის დონის ცვლილება არ შეინიშნება. თუმცა ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვის საფუძველზე გამოიკვეთა ის ინფორმაცია, რომ როდესაც ხდება ატმოსფერული ნალექების სიჭარბე, მუდამ ხდება ამ ტერიტორიაზე წყალმოვარდნა და მუდამ ხდება საავტომობილო გზის დატბორვა, რისი გაწმენდაც უმეტესად ადგილობრივებს უხდებათ, რაც ასევე საშიშია.

პრაქტიკისათვის მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრა ემყარება ვ. ცომაიას გამოთვლათა სისტემას [2, 3], რომელიც მრავალჯერაა გამოყენებული. გამოთვლის სისტემა უზრუნველყოფს, რომ მდინარის კალაპოტის ჩახერგვის დროიდან გავცეთ პროგნოზი დაგუბებული უბნის წყლით ავსების ხანგრძლივობაზე, დაგუბებული ტბის მოცულობაზე, მის ფარგლებში დატბორვის სიგრძეზე, გარღვევის შემდეგ გარღვევის ადგილას და დინების ტრანზიტულ კვეთებზე ნაზღველვეი წყალმოვარდნის წყლის მაქსიმალურ ხარჯზე.

მდინარის დაგუბებული უბნის მორფომეტრული პარამეტრების დადგენისათვის, მსხვილმასშტაბიან ტოპოგრაფიულ რუკაზე (1 : 25 000 – 1 : 100 000) ადგილზე დააქვთ ჩახერგილი კაშხლის თხემის მდებარეობა $a-b$; იზოხაზების საშუალებით განსაზღვრავენ ჩახერგილი კაშხლის თხემის სიმაღლეს (h), ისევე რუკის საშუალებით ჩახერგილი კაშხლის სიმაღლეზე გამოითვლება დაგუბების სიგრძე (l) და სიგანე (B) ჩახერგილი მასისა თხემზე. მიღებული მონაცემების საფუძველზე განსაზღვრავენ ჩახერგვის შედეგად წარმოშობილი ქვაბულის მოცულობას (w) ფორმულით:

$$w = \frac{l * B * h}{k}$$

სადაც k არის ტოპოგრაფიული კოეფიციენტი; იგი იცვლება 2,7 -3,3-ის ფარგლებში [1]; გამოთვლებისათვის საშუალოდ ვიღებთ $k = 3,0$.

მდინარის ხეობის ჩახერგვისას უნდა გაიზომოს მდინარისა და მისი შენაკადების წყლის ხარჯი ჩახერგვის ზემოთ, ჰიდროლოგიაში ცნობილი მეთოდების გამოყენების საფუძველზე. თუ ავლნიშნავთ მდინარისა და მისი შენაკადების წყლის ჯამურ ხარჯს ΣQ მ/წმ, მაშინ ქვაბულის ავსების ხანგრძლივობა (T) იქნება:

$$T = \frac{W}{\Sigma Q}$$

ამ შემთხვევაში T გამოითვლება წამებში, შემდეგ გადაიყვანება ჩვეულებრივი წესით წუთებში, საათებში და დღე-ღამეში.

მდინარის კალაპოტში ჩახერგილი მასა ქვაბულში დაგროვილი წყლის მასის დაწოლის შედეგად ირღვევა. გარღვევისას წარმოიშვება ტრაპეციოდალური ფორმის კალაპოტი, რომელსაც ამსგავსებენ ჰიდრომეტრიაში ცნობილ წყალ საშვს, რომლითაც ზომავენ წყლის ხარჯს. ამ მხრივ იყენებენ ჰიდრაულიკაში ცნობილ ფორმულას:

$$Q_{\theta} = 1.9 B * h_1^{2/3}$$


სადაც, Q_{θ} არის ნაზღვლევი წყალმოვარდნის წყლის მაქსიმალური ხარჯი გარღვევის ადგილას. ასევე ხდება ნაზღვლევი წყალმოვარდნის წყლის მაქსიმალური ხარჯის გამოთვლა მდინარის ტრანზიტულ უბნებზე. პროცესი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც წყლის მაქსიმალური ხარჯი განიცდის ტრანსფორმაციას მისი „გაშლართვის“ გავლენის გამო. ამისათვის კი უკეთეს შედეგს გვაძლევს დინების იზოქრონული თეორიის გამოყენება, რომლის თანახმად:

$$Q_{\theta\theta} = \frac{l}{l+1\theta} * Q_{\theta}$$

სადაც $Q_{\theta\theta}$ – არის ნაზღვლევი წყალმოვარდნის წყლის მაქსიმალური ხარჯი ტრანზიტული უბნის მოცემულ კვეთში; l – არის მანძილი ჩახერგილი კაშხლიდან მდინარის ტრანზიტული უბნის მოცემულ კვეთამდე. [2, 3, 4]

ასევე უნდა მოხდეს დაგუბებული ტბის უბანში, ჩახერგილ კაშხალში ჩამდინარე წყლის ხარჯის გამოთვლა, რომელიც ასევე გვაძლევს ინფორმაციას ჩახერგილ უბანში რა რაოდენობის წყალი გროვდება გარკვეული დროის განმავლობაში.

ყოველივე აქედან გამომდინარე, სვანეთი მუდამ იქნება ის რეგიონი, სადაც უხვი ნალექის დროს შესაძლებელია სხვადასხვა მოვლენების გამო მოხდეს მდინარეების გადაკეტვა, დაგუბება და ნაზღვლევი წყალმოვარდნების საშიშროების წარმოშობა, რაც მოითხოვს მუდმივ მეთვალყურეობას, დაკვირვებას, არსებული მონაცემების მოპოვების შემთხვევაში კი მათ დამუშავებას და საჭირო პროგნოზების გაცემას. ასევე მუდამ უნდა ხდებოდეს ყოველწლიური სავსე სამუშაოები. სასურველია განგაშის სისტემების დაყენება, სადამკვირებლო ქსელის გაშლა ხეობების ლოკალურ ფერდობებზე. ასევე იმ დამცავი საშუალებების გამოყენება, რომელიც მდინარეთა ხეობებში ერთგვარად შეაფერხებდა ნალექის დროს წარმოქმნილი საშიშროების შედეგებს. ასევე აუცილებელია მდინარის ჩახერგვის უბანზე მოეწყოს დროებითი ჰიდრომეტეოროლოგიური საგუშაგოები, სადაც გაიზომება ატმოსფერული ნალექები და ტემპერატურები. ასეთ ობიექტებზე ასევე შესაძლებელია დაბომბვის მეთოდი, ხელოვნური არხის და გადამგდები საშუალებების დაყენება ჩახერგვის ადგილას და ა. შ. ნახ. 1-ზე წარმოდგენილია საფონური წყალამოღობის სქემა, რომელიც იგება ჩახერგილი მასის თხემზე და ასევე ძალიან ეფექტურია ამ დროს.



ნახ. 1. ხეობის ჩახერგილი წყალდაგუბების უბანი და მისი საფონური წყალამოღობის სქემა.

ყველაზე მისაღები და ადვილად მისაწვდომი მეთოდია ნაზღვლევი წყალმოვარდნის ან წყალდიდობის საზღვრების დადგენა და დადგენილი ტერიტორიის საშიშ ზონად გამოცხადდება, სადაც

აიკრძალება ყოველგვარი სამეურნეო და საყოფაცხოვრებო საქმიანობა. მნიშვნელოვანია აგრეთვე დაკვირვებისა და გაზომვის მასალების დამუშავება და ანალიზი, რაც ყოველდღიურად უნდა მოხდეს - წყლის დონეების, წყლის ხარჯებისა და ინფლიტრაციის ინტენსიური მატების შემთხვევების სათანადო შეფასების საფუძველზე. ყველა ჰიდროლოგიურ საგუშაგოზე, სადაც უნდა გაიაროს დაგუბებული ტბის გარღვევასთან დაკავშირებული ნაზღვევი წყალმოვარდნის ტალღამ, ეწყობა დაკვირვება წყლის დონეზე, ყოველ ორ საათში, წყალმოვარდნის დაწყების, მაქსიმუმისა და დამთავრების დროის ჩვენებით.

ყოველივე აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მდინარის ჩახერგვის და მისი გარღვევის შემთხვევაში წარმოშობილი ნაზღვევი წყალმოვარდნის შერბილების მეთოდებით შესაძლებელია მოსალოდნელი კატასტროფის თავიდან აცილება.

ლიტერატურა - References – Литература

1. სალუქვაძე მ. „ზემო სვანეთის ზვავსაშიშროება“. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი. გვ. 67. 2011
2. ცომია ვ. „გადაუდებელი საქმე - მდ. ქსანი ორი საპირისპირო მოვლენის დროს და მათი თავიდან აცილების გზები“. საქართველოს ბუნება. # 8., თბ., 1990., გვ. 9-10.
3. ცომია ვ. ცინცაძე თ. გორგიჯანიძე ს. „ნაზღვევი წყალმოვარდნები საქართველოში და მათი საშიშროების თავიდან აცილების რეკომენდაციები“. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომები. თბ., 2003., გვ.185
4. Глациологический словарь. Гидрометеоиздат., Л., 1984., с. 210-217

უაკ 551.578.46

მდინარის ჩახერგვებით გამოწვეული დაგუბებები და მათ გარღვევებთან დაკავშირებული ნაზღვევი წყალმოვარდნები ზემო სვანეთის რეგიონში. ს./გორგიჯანიძე/ სტუ-ის ჰმი-ს სამეცნ. რეფ. შრ. კრებ. – 2021- - ტ.131. -გვ.7-11. - ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

სტატიაში მოყვანილია მონაცემები სვანეთში მომხდარი წყალმოვარდნების შესახებ. ასევე ასახულია მდინარის ხეობების ჩახერგვის გამომწვევი მიზეზები და დაგუბებული ტბების გარღვევის შემთხვევაში მომხდარი წყალმოვარდნების შედეგები. განსაზღვრულია ის პარამეტრები, რომლებიც უზრუნველყოფს დაგუბების შემთხვევაში, მოსალოდნელი წყალმოვარდნის განვითარებისას, როგორ ავიცილოთ თავიდან მოსალოდნელი კატასტროფა. ასევე სტატიაში მოცემულია ის რეკომენდაციები, რომლებიც საჭიროა განხორციელდეს ამ სტიქიური მოვლენის დროს.

UDC 551.578.46

Swamps caused by the river trappings and collapsed flash-flooding associated to their breakthrough in the Upper Svaneti region. /Gorgidzhanidze S./Scientific Reviewed Proceedings of the IHM, GTU. – 2021. – vol.131. – pp.7-11. - Georg.; Abst.: Georg., Eng., Rus.

The article provides data on flash-floods in Svaneti. It also presents the causes of river valley trapping and the flooding consequences of a break in swampy lakes event. Those parameters are defined that in case of expected flooding provide how to avoid anticipated disaster. The article also gives the recommendations that need to be implemented during this natural disaster

УДК 551.578.46

Завальные паводки, вызванные заграждением и затором на реках Верхней Сванетии /Горгиджанидзе С.Н./ Сб. Трудов ИГМ, ГТУ. - 2021. - вып.131. - с.7-11. - Груз.; Рез. Груз., Англ., Рус.

В статье приводятся данные о наводнениях в Сванетии. Также отражены причины заторов долины рек и последствия наводнения в случае прорыва завальных озер. Определены параметры, которые помогут избежать катастрофические последствия ожидаемых завальных паводков в случае прорыва заторов. В статье также даются рекомендации, которые необходимо выполнить во время этого стихийного бедствия.

უკ. 627. 1. 215

**მტკნარი წყლის დეფიციტი - თანამედროვეობის უდიდესი პრობლემა
ც. ბასილაშვილი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი
თბილისი, საქართველო, jarjini@mail.ru

წყალი არის დედამიწაზე არსებული ის ძირითადი რესურსი, რომელიც განაპირობებს ცოცხალი სამყაროს არსებობასა და განვითარებას. ჩვენს პლანეტაზე წყლის საერთო რესურსი 1400 მლნ კმ³-ია, რომელიც ქმნის ერთიან მსოფლიო ოკეანის სტრუქტურას ზღვებით, ტბებით, მდინარეთა აუზებითა და სხვ. მთელი წყლის რესურსების 94 % ანუ 1320 მლნ კმ³ წყალი, მოქცეულია უშუალოდ ოკეანეებსა და ზღვებში, რომელთაც უკავიათ დედამიწის ზედაპირის 70 %.

წყალი ახდენს მზის ენერჯის აკუმულაციას და ამრიგად ასრულებს დედამიწის ზედაპირზე თერმული რეჟიმის რეგულატორის როლს. ჰიდროსფეროს ზედა 1 სმ-იანი ფენა შთანთქავს მასზე მოხვედრილი მზის თბური ენერჯის 94 %-ს. შედეგად ოკეანეთა ზედაპირიდან ყოველწლიურად ორთქლდება 3,35×10¹⁴ მ³ წყალი. ამ წყლის 90 % ატმოსფერული ნალექების სახით უბრუნდება თვით ოკეანეებს, 10 % კი ხმელეთზე მოდის. გარდა ამისა, წყალში არსებული ფიტოპლანქტონი ფოტოსინთეზის პროცესის შედეგად ამარაგებს ატმოსფეროს ჟანგბადით. სწორედ ჟანგბადი და მტკნარი წყალი არის აუცილებელი ელემენტები ცოცხალი ორგანიზმების არსებობისათვის [1, 2].

მტკნარ წყლად, იწოდება წყალი, რომლის მარილიანობა არ აღემატება 0,1 ‰-ს. ჩვენს პლანეტაზე მტკნარი წყალი არის ზედაპირული, დანალექი და მიწისქვეშა. ზედაპირულს მიეკუთვნებიან: მდინარეები, მტკნარი ტბები, მყინვარები და ნაკადულები; დანალექები: თოვლი, წვიმა და სეტყვა; მიწისქვეშაა - წყაროები და მინერალური წყლები. გემოს მიხედვით, მტკნარ წყალს განასხვავებენ ჩვეულებრივს და მინერალურს, რომელიც ჩვეულებრივი სასმელი წყლისაგან განსხვავდება მასში განსაზღვრული რაოდენობის სხვადასხვა მინერალებით. ესენია - სამკურნალო, სამკურნალო-სასადილო და სასადილო.

1 ცხრილში მოცემულია დედამიწაზე არსებული ჰიდროსფეროს კომპონენტების რაოდენობრივი მახასიათებლები [3] ინფორმაციის მიხედვით. დედამიწაზე არსებული წყლის საერთო რესურსების მხოლოდ 2,5 % ანუ 35 მლნ კმ³ არის მტკნარი წყალი, რომლის უდიდესი ნაწილი ანტარქტიდისა და გრენლანდიის ყინულებში და თოვლშია, ხოლო ნაწილი მიწისქვეშა მოქცეული [1]. მტკნარი წყალი, ტერიტორიულად ხმელეთზე, მეტად არათანაბრადაა განაწილებული. ევროპაში და აზიაში, სადაც მთელი მსოფლიოს მოსახლეობის 70 % ცხოვრობს, მტკნარი წყლის მარაგის 39 %-ია, რომელთა უდიდესი რაოდენობა კონცენტრირებულია მდინარეებში და ტბებში [4].

2 ცხრილში მოცემულია დედამიწაზე არსებული მტკნარი წყლის წყაროები - მათი რაოდენობა (კმ³) და წილი (%) საერთო ჯამიდან [5] ინფორმაციის მიხედვით.

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ მტკნარი წყლის უდიდეს ნაწილს დედამიწაზე შეიცავს მყინვარები, აისბერგები და მუდმივი თოვლის საფარი, რომელთა წილი საერთო ჯამის 69 %-ს შეადგენს. მეორე ადგილზე, ამ მხრივ, არის მიწისქვეშა წყლები (30 %). ამასთან ერთად, მტკნარი წყალი მარად მზრალ ზონაში, მტკნარ ტბებში, ღრუბლებში, მდინარეებში და ნაკადულებში.

ცხრილის მიხედვით მტკნარი წყლის ყველაზე მცირე მოცულობა (2120 კმ³) არის მდინარეებში, რომელიც მთელი ჯამის მხოლოდ 0,006 %-ია, მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ ყველა სხვა წყაროებისაგან განსხვავებით, მდინარეთა მტკნარი წყალი არის მუდმივ განახლებადი და ყველაზე ხელმისაწვდომი. ამიტომ უძველესი დროიდან დღემდე, ხალხი თავის საცხოვრისს აშენებს მდინარეთა სანაპიროებთან და ახდენს მათი ხეობებისა და ტერასების ათვისებას, როგორც სასოფლო-სამეურნეო კულტურების, ასევე სამეურნეო საქმიანობისათვის, შენობების ასაგებად, გზებისა და ელექტროგადამცემი ხაზების გასაყვანად და სხვ.

ცნობილია, რომ თითოეული ადამიანი ყოველდღიურად დაახლოებით 3-4 ლ წყალს. გარდა ამისა, ადამიანების მიერ ფართოდ გამოიყენება მინერალური წყლები სამკურნალოდ, სასმელად და ბალნეოლოგიური მიზნით. წყალი აუცილებელია აგრეთვე ხმელეთის მცენარეთა და ცხოველთა სიცოცხლისა და განვითარებისათვის. წყალი მონაწილეობს ყველა ბიოლოგიურ პროცესებში და წყლის გარეშე შეუძლებელია ეკონომიკის ნებისმიერი დარგის განვითარება. მას ეკუთვნის ყველაზე მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი როლი, როგორც სოფლის მეურნეობაში, ასევე მრეწველობაში, ენერჯეტიკაში და ა.შ. მაგალითად, მეცნიერთა გამოთვლებით XX საუკუნეში, მსოფლიო მასშტაბით წყლის წლიური მოხმარება შეადგენდა მრეწველობაში 400 კმ³, ენერჯეტიკაში - 250 კმ³, სოფლის მეურნეობაში კი

მოხმარება წყლის რესურსების 70 %. საერთო ჯამში მოხმარებული წყლის რაოდენობა შეადგენს 3200 – 3300 კმ³-ს წელიწადში [2, 5].

ცხრილი 1. დედამიწის ჰიდროსფეროს კომპონენტები

№	ობიექტის დასახელება	ფართობი 10 ⁶ გ ²	მოცულობა 10 ¹² გ ³	წილი, %	
				საერთო მარაგიდან	მტკნარი წყლის
1	მსოფლიო ოკეანე	361	1 338 000	96,4	
2	მიწისქვეშა წყლები	135	23 400	1,7	
3	მიწისქვეშა მტკნარი წყლები	134	10 530	0,76	28,6
4	ნიადაგის სინოტივე	133	40	0,003	0,11
5	მყინვარები და მუდმივი თოვლი	16,2	25 779	1,86	70,1
6	ჩრდ. ყინულოვანი ოკეანის კუნძულები	0,24	71,8	0,005	0,2
7	მთის რეგიონები	0,27	40,5	0,003	0,11
8	მარადმზრალი ზონის მიწისქვ. წყლები	21,0	300	0,022	0,82
9	მარილიანი ტბების წყლები	0,82	85,4	0,013	
10	მტკნარი ტბების წყლები	1,24	91,0	0,007	0,25
11	ჭაობის წყლის მარაგი	2,68	11,5	0,0008	0,03
12	მდინარეთა წყლები	149	2,12	0,0002	0,006
13	წყალსაცავები	0,37	6,37	0,0006	0,018
14	ბიოლოგიური წყლები	510	1,12	0,0001	0,003
15	ატმოსფეროს წყლები	510	12,9	0,001	0,04
წყლის საერთო მარაგი			1 387 723	100	
მტკნარი წყლის მარაგი			36 769	2,65	100

ამრიგად წყალი არის უდიდესი განძი ჩვენს პლანეტაზე როგორც ცხოვრების საწინდარი. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ თუ მტკნარი წყლის მარაგი გამოილევა, მთელ დედამიწაზე სიცოცხლე დასრულდება.

დედამიწაზე მტკნარი წყლების საექსპლუატაციო რესურსები 200 000 კმ³-ს შეადგენს, რაც მთელი წყლის მასის 0,02 % და მტკნარი წყლის რესურსების 1 %-ია. აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ მტკნარი წყლების მსოფლიო მარაგები დედამიწაზე ტერიტორიულად არათანაბრადაა განაწილებული. მაგალითად, ანტარქტიდიდან, გრენლანდიდან და სხვა პოლარული ტერიტორიებიდან 2150 კმ³ გამოუყენებელი (უხმარი) წყალი ოკეანეებში ჩაედინება. ჭარბი წყალია აგრეთვე ზოგიერთ დასახლებულ რეგიონებშიც. მაგალითად მდ. ამაზონის აუზში, სადაც მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კმ² ფართობზე 4 – 5 კაცია, მდინარის წყლის ჩამონადენი 3800 კმ³-ია, მაშინ როდესაც მრავლადაა უწყლო ქვეყნები, სადაც დიდია მტკნარი წყლის დეფიციტი: საჰარაში, ყარაყუმში და სხვა უდაბნოებში [5].

ცხრილი 2. დედამიწაზე არსებული მტკნარი წყლის წყაროები

წყაროს დასახელება	წყლის მოცულობა (კმ ³)	წილი (%)
მყინვარები, აისბერგები, მუდმივი თოვლი	24 000 000	68,7
მიწისქვეშა მტკნარი წყალი	10 500 000	30,1
მუდმივ გაყინული (მზრალი)	300 000	0,86
მტკნარი ტბები	91 000	0,26
ატმოსფერული ორთქლი	12 000	0,04
მდინარეები	2 120	0,006
ჯამი	35 000 000	100

3 ცხრილში მოცემულია მდინარეთა მტკნარი წყლის ხვედრითი ჩამონადენი ევრაზიის ქვეყნებში [6] ცნობარის მიხედვით, საიდანაც ჩანს, რომ ტერიტორიულად 1 კმ² ფართობზე უდიდესი წყლის ჩამონადენით (1739 ათასი მ³/კმ²) გამოირჩევა დასავლეთ საქართველო. ამ მხრივ მეორე ადგილზეა ნორვეგია (1188 ათასი მ³/კმ²), მესამეზე კი არის შვეიცარია (1046 ათასი მ³/კმ²). საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ხვედრითი ჩამონადენი 944 ათასი მ³/კმ²-ია, აღმოსავლეთ საქართველოში კი 394 ათასი მ³/კმ². რაც შეეხება 1 სულ

მოსახლეზე წყლის ჩამონადენის მიხედვით ყველაზე მდიდარია ისლანდია (338 ათასი მ³/1 სული), მეორე ადგილზე კი არის ნორვეგია (104 ათასი მ³/1 სული), მესამეზეა დიდი ბრიტანეთი (63,6 ათასი მ³/1 სული).

ცხრილი 3. წყლის ხვედრითი ჩამონადენი ევრაზიის ქვეყნებში

ქვეყანა	მთლიანი კმ ³	ათასი მ ³ /კმ ²	ათასი მ ³ /1 სულ	ქვეყანა	მთლიანი კმ ³	ათასი მ ³ /კმ ²	ათასი მ ³ /1 სულ
ისლანდია	65,8	619	338	საფრანგეთი	298	540	6,1
ნორვეგია	391	1 188	104	ლიტვა	15,3	235	4,4
დიდი ბრიტანეთი	204	670	63,6	ყაზახეთი	64,8	23,9	4,3
რუსეთი	40	234	29,1	პორტუგალია	35,4	385	3,9
შვედეთი	200	444	26,0	ბელორუსია	36,4	175	3,8
ფინეთი	107	319	23,3	დანია	15,0	349	3,2
ყირგიზეთი	52,8	266	14,5	იტალია	143	542	3,1
ტაჯიკეთი	51,2	358	12,8	ესპანეთი	93,0	185	3,0
საქართველო	65,8	944	12,1	სომხეთი	6,5	218	2,1
დას. საქართველო	51,1	1 739	23,2	პოლონეთი	56,5	181	1,8
აღმ. საქართველო	14,7	394	4,9	გერმანია	85,6	345	1,5
ალბანეთი	20,2	697	11,5	აზერბაიჯანი	8,7	100	1,4
ავსტრია	67,6	805	9,4	უკრაინა	49,9	82,6	1,0
საბერძნეთი	67,3	506	7,9	ბელგია	9,6	288	1,0
ესტონეთი	11,7	259	7,9	ნიდერლანდები	10,2	249	0,8
შვეიცარია	42,9	1 046	7,3	უზბეკეთი	11,1	24,7	0,7
ლატვია	17,1	268	6,7	თურქმენეთი	1,0	2,0	0,4

მდინარეთა ჰიდროლოგიური რეჟიმი განპირობებულია კლიმატწარმომქმნელი ფაქტორებითა და მათ შორის ატმოსფეროს საერთო ცირკულაციით, რაც დაკავშირებულია მზის აქტივობასთან. მზის მინიმალური აქტივობის დროს, როდესაც მზის ზედაპირზე აღინიშნება ლაქები და მათი რაოდენობა (ვოლფის რიცხვი) აღწევს 30-ს, მაშინ დედამიწაზე არ აღინიშნება სინოტივის ნაკლებობა და გვალვიანობა. აღსანიშნავია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ მდინარეთა წყლის ხარჯები, გრუნტის წყლისა და გაუდინარი ტბების დონეები ასევე დაკავშირებულია მზის აქტივობაზე.

ცნობილია, რომ ბუნებაში მიმდინარე წყალბრუნვის პროცესის შედეგად, სხვა ბუნებრივი რესურსებისაგან განსხვავებით, ხდება მტკნარი წყლის მარაგის მუდმივი განახლება, ამიტომ ის ითვლება ამოუწურავ ბუნებრივ რესურსად და მას შეუზღუდავად იყენებდნენ. მაგრამ სადღეისოდ, მზის აქტივობის გაზრდისა და კლიმატის გლობალური დათბობის, ადამიანთა საქმიანობის გაზრდისა და ანთროპოგენური დატვირთვის შედეგად, სასიცოცხლო მნიშვნელობის მტკნარი წყლის რესურსებს მოელის აღუდგენელი დანაკლისი, რაც შეიძლება გახდეს ეკონომიკის განვითარების მთავარ შემზღუდველ ფაქტორად.

სადღეისოდ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მართლაც ადგილი აქვს მტკნარი წყლის წყაროების თანდათანობით გამოლევის. მაგალითად, აშშ-ში განახლებადი მიწისქვეშა წყლების მარაგები 50 წლის განმავლობაში 490 კმ³-დან შემცირდა 63 კმ³-მდე. სასმელი წყლის დეფიციტს განიცდის მსოფლიოს მრავალი ისეთი ქვეყნების მოსახლეობა, როგორცაა აზიისა და აფრიკის დიდი ნაწილი, აშშ-ის დასავლეთი შტატები, ჩილესა და არგენტინის ნაწილები, ავსტრალია, თურქმენეთი, მოლდოვა, უზბეკეთი და აზერბაიჯანი.

გაეროს მონაცემებით 2000-იანი წლების დასაწყისში 1,2 მლრდ ადამიანი ცხოვრობდა მტკნარი წყლის მუდმივი დეფიციტის პირობებში, 2 მლრდ ადამიანი კი რეგულარულად იტანჯება უწყლოობით. 2010 წლის მონაცემებით, კლიმატის გლობალური დათბობის გამო, დედამიწაზე ყოველწლიურად ილუპება 300 ათასი ადამიანი, ხოლო 2030 წლისათვის ეს რიცხვი გაიზრდება 500 ათასამდე [7].

წყლის რესურსების შემცირების ტენდენცია თანდათან იზრდება და ამის გამო XXI საუკუნე გამოცხადებულია მტკნარი წყლისა და ხორბლის დეფიციტის საუკუნედ.

წყლის დეფიციტის მიზეზი მრავალია, რომელთაგან ერთ-ერთია ის ფაქტი, რომ სასმელი წყლის მოხმარება ორჯერ და მეტად უსწრებს პლანეტის მოსახლეობის ზრდის ტემპს. მსოფლიოს მოსახლეობის ზრდა კი დიდია. ამას გარდა, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების გამო, წყალზე მოთხოვნილება ისევე გაიზრდება.

გაეროს პროგნოზების მიხედვით 2025 წელს წყალმოთხოვნილება გაიზრდება 40 %-ით და კაცობრიობის 2/3 იცხოვრებს სასმელი წყლის მკაცრი უკმარისობის პირობებში. 2030 წლისთვის წყლის

დეფიციტი 40 %-მდე იქნება. 2032 წელს დედამიწის მოსახლეობას ემუქრება გვალვიანობა და 70 % ცხოველთა სახეობები იქნება განადგურების ზღვარზე. გვალვიანობის გამო, მომავალი 30 წლის განმავლობაში, მილიონი ადამიანის სიცოცხლე იქნება საფრთხის ქვეშ. XXI საუკუნის შუა ხანებში წყლის მუდმივი უკმარისობით იქნება 4 მლრდ ადამიანი [8].

გარდა ამისა, მსოფლიოს მოსახლეობის 1/3 ცხოვრობს იმ რეგიონებში, სადაც სოფლის მეურნეობა ეფუძნება ხელოვნურ მორწყვას, მაგრამ ატმოსფეროში სათბურის გაზების კონცენტრაციის მომატებისა და კლიმატის მოსალოდნელი ცვლილების შედეგად, მომავალში გვალვები შეიძლება გახდეს უფრო სერიოზული პრობლემების მიზეზი, რადგან უკვე აღინიშნება სარწყავი წყლის დიდი დეფიციტი. წლიდან წლამდე კი მატულობს სარწყავი სასოფლო - სამეურნეო კულტურების ფართობი, რომელთა პროცენტული წილი ამჟამად შეადგენს დედამიწის ტერიტორიის 17 %-ს.

კლიმატის გლობალური დათბობა ხელს შეუწყობს სავეგეტაციო პერიოდისა და ისეთი ექსტრემალური მოვლენების გაზრდას, როგორცაა წყალდიდობები, ტყის ხანძრები, გვალვიანობა, გაუდაბნობა და სხვ. მდინარეებზე მოსალოდნელია გაზაფხულის წყალდიდობის ცვლილება ადრეულ ვადებში და სავეგეტაციო პერიოდის წყლის ჩამონადენის შემცირება. ამის შესაბამისად გაიზრდება სარწყავი მიწების ფართობები და საჭირო საირიგაციო წყლის რესურსები. სარწყავი წყლის უკმარისობა უარყოფითად მოქმედებს როგორც მოსავლის რაოდენობაზე, ისე მის ხარისხზეც.

იმის გამო, რომ სოფლის მეურნეობაში მოხმარებული წყლის 22 % იკარგება და არ ბრუნდება, ამიტომ მეცნიერება ეძებს წყლის დანაკარგების შემცირების ხერხებს. ამ მხრივ პირველ რიგშია სარწყავი წყლის რაციონალური გამოყენება, სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და ხე-მცენარეთა ისეთი ჯიშების შერჩევა, რომლებიც მდგრადია წყლის სტრესთან დაკავშირებით.

ექსპერტთა პროგნოზების მიხედვით, თუ კაცობრიობა უახლოეს ხანებში ვერ იპოვნის მტკნარი წყლის ბუნებრივი მარაგის ალტერნატივას, მაშინ წყლის უკმარისობის პრობლემა გლობალურ მასშტაბებს მიაღწევს, რაც გამოიწვევს ეკონომიკის დაცემას იმ ქვეყნებში, სადაც მცირეა წყლის რესურსები, საზოგადოებაში კი გამოიწვევს არასტაბილურობას, ომებსა და მსოფლიო კატაკლიზმებს. ამრიგად, სუფთა წყლის დეფიციტმა მოსალოდნელია საფრთხე შეუქმნას თანამედროვე ცივილიზაციას.

ეს რომ არ მოხდეს, აუცილებელია ყველა ქვეყნის მთავრობამ პრიორიტეტად აქციოს სუფთა წყლის საკითხი, როგორც გარემოს დაცვის მთავარი პრობლემა. საჭიროა მიღებულ იქნეს შესაბამისი ღონისძიებები წყლის რესურსების დაზოგვისა და მისი გადანაწილების მიზნით. თითოეულმა მოქალაქემ კი უნდა იზრუნოს მტკნარი წყლის რესურსების დაცვაზე, მის რაციონალურად და ყაირათიანად გამოყენებაზე. უნდა ამაღლდეს ადამიანთა თვითშეგნება წყლის ობიექტების გაფრთხილებასთან დაკავშირებით.

ლიტერატურა - References – Литература

1. ც. ბასილაშვილი. წყლის რესურსები და მათი გამოყენების ძირითადი საკითხები. I საერთაშორისო კონფერენცია „კოლხეთის დაბლობის წყლის ეკოსისტემები - დაცვა და რაციონალური გამოყენება“, შრომათა კრებული, თბ., 2013, გვ. 21-24.
2. ი. მიქაძე, საქართველოს ჰიდროსფერო და მისი რესურსები. „მერიდიანი“, თბ., 2016, 64 გვ.
3. Шикломанов И.А. Водные ресурсы России и их использование. ГГИ, Санкт-Петербург, 2008.
4. http://www.o8ode.ru/article/oleg2/precnaa_voda.htm
5. <https://water.usgs.gov/edu/earthwherewater.html>. water.usgs.gov.
6. Кадастр водных запасов Грузии. Изд. Универсал, Тб., 2018, 260 с.
7. Глобальная экологическая перспектива. ЮНЕП, 2009, 540 с.
8. Вода для людей, вода для жизни. Доклад ООН о состоянии водных ресурсов мира. Москва, 2003.

უაკ 627. 1. 215

მტკნარი წყლის დეფიციტი - თანამედროვეობის უდიდესი პრობლემა /ც. ბასილაშვილი/ სტუ-ის ჰმი-ს სამეცნ. რეგ. შრ. კრებ. – 2021 - - ტ.131. -გვ.12-16. - ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

განხილულია მსოფლიოში არსებული ყველაზე მნიშვნელოვანი და აქტუალური ეკოლოგიური პრობლემა მტკნარი წყლის რესურსების შესახებ. დახასიათებულია მათი წყაროები და არათანაბარი ტერიტორიული განაწილება. მსოფლიოში მოსახლეობისა და მეურნეობის გაზრდამ, კლიმატის დათბობის ფონზე, გამოიწვია მათი გამოყენების მასშტაბების გაზრდა, რის გამოც მნიშვნელოვნად შემცირდა მათი რესურსები. ამას შეიძლება მოჰყვეს მოსავლიანობისა და ეკონომიკის დაცემა, რაც გამოიწვევს არასტაბილურობას, ომებსა და კატაკლიზმებს. ეს რომ არ მოხდეს, საჭიროა ყველა ქვეყანაში პრიორიტეტად იქცეს სუფთა წყლის საკითხი, მისი დაზოგვა და რაციონალურად გამოყენება. ცხრ. 1, ლიტ. 8.

UDK 627. 1. 215

Freshwater Shortage is a Major Problem of Modern Times. /Ts. Basilashvili/ Scientific Reviewed Proceedings of the IHM, GTU. – 2021. – vol.131. – pp.12-16. -Georg.; Abst.: Georg., Eng., Rus

The paper deals with the most important and urgent ecological problem of our times - global shortage of fresh water resources. Their sources and unequal territorial distribution are characterized. The rapid increase in the population and world economy, against the background of global warming, has led to an increase in the scale of use of fresh water resources, which has significantly reduced them. This, in turn, can lead to declining yields and the economy, instability, wars and cataclysms. In order to preclude the worst scenario, the issue of clean water, its saving and rational use must become a priority in all countries. Tabl. 3, Ref. 8

УДК 627. 1. 215

Дефицит пресной воды – величайшая проблема современности. /Басилашвили Ц.З./ Сб. Трудов ИГМ, ГТУ. - 2021. - вып. 131. - с.12-16. – Груз.; Рез. Груз., Англ., Рус

Рассмотрено существующая всемирная, самая важная и актуальная проблема о ресурсах пресной воды. Охарактеризованы их источники и неравномерное распределение по территории. Увеличение в мире населения и хозяйства, на фоне потепления климата, вызвал увеличение масштабов их использования, в результате чего значительно уменьшились водные ресурсы. Это может привести упадок урожайности и экономики, что вызовет нестабильность, войны и катаклизмы. Чтобы этого не случилось, нужно во всех странах приоритетным стал вопрос чистой воды, их сбережение и рациональное использование. Табл. 1, Лит.8.

აორთქლებადობა და მორწყვის რეჟიმი

ო.შველიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტი

ჰიდროლოგიური მეცნიერების განვითარების ყოველ ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ნიადაგის ზედაპირიდან ჯამური აორთქლების შესწავლას. ეს განპირობებული იყო ერთი მხრივ იმით, რომ იგი წარმოადგენს მოცემული ტერიტორიის ორი ძირითადი განტოლების სითბური და წყლის ბალანსის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს, ხოლო მეორე მხრივ ჯამური აორთქლება ნიადაგის ზედაპირიდან წარმოადგენს შემაკავშირებელ რგოლს მეტეოროლოგიურ და ჰიდრომეტეოროლოგიურ პროცესებს შორის. დღეისათვის ნიადაგის ზედაპირიდან ჯამური აორთქლების რიცხვითი მნიშვნელობის საანგარიშოდ დამუშავებულია ასობით მეთოდი. მათი ნაწილის გამოყენება კონკრეტულ პირობებში შეზღუდულია დაკვირვების მასალების ნაკლებობის გამო, ნაწილი შეიცავს რიცხვით კოეფიციენტებს რომელთა შინაარსი საკმაოდ ბუნდოვანია.

გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან ნიადაგის ზედაპირიდან ჯამური აორთქლების სიდიდის საანგარიშოდ ფართო გავრცელება ჰპოვა მეთოდებმა რომლებშიც იგი წარმოდგენილია ორი ფუნქციის ნამრავლის სახით [1-5]:

$$E = E_0 \cdot F(w) \quad (1)$$

სადაც პირველი თანამრავლი E_0 - აორთქლებადობა, ხოლო მეორე $F(w)$ - ნიადაგის სინოტივის ფუნქციაა.

აორთქლებადობას უწოდებენ ნიადაგის ზედაპირიდან ჯამური აორთქლების სიდიდეს, როდესაც ნიადაგში ტენის რაოდენობა შეუზღუდავია. იგი წარმოადგენს მოცემული ტერიტორიის კომპლექსურ კლიმატურ მახასიათებელს, რადგან მეტეოროლოგიური ელემენტების ფუნქციაა. რაც შეეხება (1) ტოლობის მეორე თანამრავლს, მეცნიერები ეყრდნობოდნენ რა ჰიპოტეზას, რომ ნიადაგის ტენიანობის გარკვეული სიდიდის შემთხვევაში, რომელსაც თავდაპირველად „კრიტიკული“ უწოდეს, აორთქლება ნიადაგის ზედაპირიდან ტოლია აორთქლებადობის, ხოლო „კრიტიკული“ ტენიანობის ქვემოთ ნელ-ნელა მცირდება და ბოლოს ნულის ტოლი ხდება.

ანალოგიური მეთოდით საქართველოს სარწყავი რაიონების ექსპერიმენტალური მასალის საფუძველზე დამუშავებული იქნა ჩვენს მიერ [4]. აღნიშნულ მეთოდში ნიადაგის ზედაპირიდან ჯამური აორთქლების თვიური სიდიდე იანგარიშება შემდეგი ფორმულის საშუალებით:

$$E = E_0, \text{ როცა } (w_1 + w_2) / 2w_0 \geq 1 \quad (2)$$

$$E = (w_1 + w_2) E_0 / 2w_0, \text{ როცა } (w_1 + w_2) / 2w_0 < 1 \quad (3)$$

სადაც w_1 და w_2 - ნიადაგის პროდუქციული ტენია საანგარიშო პერიოდის თავსა და ბოლოში; w_0 - ნიადაგში პროდუქციული ტენის სიდიდე უმცირესი წყალტევადობის დროს. ნიადაგის ტენიანობაზე დაკვირვების მონაცემების არ არსებობის შემთხვევაში w_2 იანგარიშება ფორმულით:

$$W_2 = [w_1(1-a) + x - y] / (1+a) \quad (4)$$

სადაც $a = E_0 / 2w_0$; x - ატმოსფერული ნალექების განსახილვევ პერიოდში; y - ზედაპირული ჩამონადენი.

აკონსტანტინოვმა აორთქლებადობის თვიური მნიშვნელობების დასადგენად წლის თვითოეული თვისთვის ააგო გრაფიკები, რომლებიც ამყარებს კავშირს ჰაერის სინოტივის დეფიციტსა და აორთქლებადობას შორის, ჩვენს მიერ აორთქლებადობის თვიური სიდიდის საანგარიშოდ შემოთავაზებულია შემდეგი ფორმულებით:

$$E_0 = 5.6t + 5.1, \text{ როცა } d > 7.0$$

$$E_0 = 7.8t + 5.1, \text{ როცა } d \leq 7.0$$

(5)

სადაც t ჰაერის ტემპერატურის საშუალო თვიური მნიშვნელობა; d - ჰაერის სინოტივის საშუალო თვიური დეფიციტი.

ცხრილში 1. მოცემულია ვეგეტაციის თვეებში აორთქლებადობის თვიური სიდიდეები და მათი ჯამები გათვლილი ა. კონსტანტინოვის და ჩვენი მეთოდით. თითოეული სადგურის პირველ ჰორიზონტალურ გრაფაში შეყვანილია კონსტანტინოვის მეთოდით, ხოლო მეორეში - ჩვენი მეთოდით მიღებული შედეგები, ხოლო მესამეში მათი გადახრები პროცენტებში. როგორც ცხრილიდან ჩანს ორივე მეთოდით მიღებული შედეგები საკმაოდ ახლოსაა ერთმანეთთან, განსაკუთრებით V-VIII თვეებში, გადახრა ძირითადად 10%-მდე მერყეობს, დანარჩენ თვეებში სხვაობა იზრდება.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მორწყვის მიზანია შინარჩუნოს ნიადაგში ტენის სიდიდე მაქსიმალურად მიახლოებადი w_0 -თან. ამიტომ (5) ფორმულით გამოთვლილი აორთქლებადობა ფაქტიურად

წარმოადგენს მცენარის წყალმოთხოვნილების საშუალო მნიშვნელობას, ხოლო აორთქლებადობა-წყალმოხმარებას. ბუნებრივია მათი სხვაობა იქნება წყალმოთხოვნილების დეფიციტი.

ცხრილი 1. აორთქლებადობის საშუალო თვიური მნიშვნელობები და მათი ჯამი ვეგეტაციის პერიოდში (მმ)

მეთოდის დასახელება	თვეები								ჯამი
	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	
დედოფლისწყარო									
ეკონსტანტის მნიშვნელობა	49	82	109	146	158	143	108	52	857
ეშველიძე	51	78	101	138	147	138	95	58	806
$E_{03}/E_{08} \%$	96	105	108	106	107	104	114	104	106
გურჯაანი									
ეკონსტანტის მნიშვნელობა	62	94	117	152	167	152	104	67	915
ეშველიძე	64	82	104	136	156	147	97	69	855
$E_{03}/E_{08} \%$	97	115	112	112	107	103	107	97	107
თელავი									
ეკონსტანტის მნიშვნელობა	64	96	118	151	168	157	109	67	930
ეშველიძე	71	87	108	137	158	150	103	78	930
$E_{03}/E_{08} \%$	90	110	109	110	106	105	106	84	100
წნორი									
ეკონსტანტის მნიშვნელობა	62	95	122	150	172	157	107	69	944
ეშველიძე	57	79	107	142	152	143	103	64	847
$E_{03}/E_{08} \%$	109	120	114	113	113	110	104	108	111
საგარეჯო									
ეკონსტანტის მნიშვნელობა	60	93	117	146	156	143	107	63	885
ეშველიძე	57	84	112	137	162	141	96	62	851
$E_{03}/E_{08} \%$	105	111	104	106	96	101	111	102	104
ბოლნისი									
ეკონსტანტის მნიშვნელობა	64	99	124	158	181	164	120	72	982
ეშველიძე	76	101	119	150	174	168	115	81	984
$E_{03}/E_{08} \%$	84	98	104	105	104	98	104	89	100
გორი									
ეკონსტანტის მნიშვნელობა	58	95	118	148	161	147	106	62	895
ეშველიძე	71	87	123	138	150	148	106	74	897
$E_{03}/E_{08} \%$	82	109	96	107	107	99	100	84	100
ქუთაისი									
ეკონსტანტის მნიშვნელობა	77	109	132	147	153	141	109	83	951
ეშველიძე	68	83	122	132	132	125	98	82	842
$E_{03}/E_{08} \%$	113	131	108	111	116	113	111	101	113
საჩხერე									
ეკონსტანტის მნიშვნელობა	68	106	123	145	151	127	97	77	874
ეშველიძე	50	92	107	126	141	143	116	87	862
$E_{03}/E_{08} \%$	136	115	115	115	107	89	84	88	101

მორწყვის რეჟიმი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველია მორწყვის ნორმა, მეორე მორწყვის ვადა. მორწყვის ნორმა M ითვლება ფორმულით:

$$M = w_0 - w_2 \quad (6)$$

ხოლო მორწყვის ნორმა (4) ფორმულით. მორწყვის ვადა დადგება მაშინ როცა w_2 მიუახლოვდება ნიადაგის ოპტიმალური ტენიანობის ქვედა ზღვარს. აორთქლებადობის პროგნოზირების შეთავაზებული მეთოდი ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობისათვის ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტას როგორცაა ნიადაგის ტენიანობის რეგულირება ვეგეტაციის პერიოდში.

ლიტერატურა -REFERENCES –ЛИТЕРАТУРА

1. Будыко М.И. Теповой баланс земной поверхности. Л., Гидрометеиздам, 1956, 124 с.
2. Константинов А.Р. Испарение в природе. Л., Гидрометеиздам, 1968, 532 с.
3. Константинов А.Р. Определение оптимальных влагозапасов почвы по периодам развития озимой пшеницы - "Гидротехника имелиорация", №2, 1975, с.38-43.
4. Швелидзе О.Г. Режим испарения с сельскохозяйственных полей на территории Алазанской долины - "Мр.закნიგმი", 1976, вып. 52(58), с.111-117.
5. Харченко С.И. Гидрология орошаемых земель. Л., Гидрометеиздам, 1968, 246 с.

უკ 551.

აორთქლებადობა და მორწყვის რეჟიმი. /ო.შველიძე/ სტუ-ის კმი-ს სამეცნ. რეგ. შრ. კრებ. – 2021- - ტ.131. -გვ.17-19. - ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

